პროფესიული საგანმანათლებლო
დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო

21/06/2024

MES 4 24 0000724677

გადაწყვეტილება

„შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA - ისთვის „ლოგისტიკის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ“, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 15 აპრილის №430343 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. ცვლილება განხორციელდეს „შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA - ისთვის „ლოგისტიკის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ“, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 15 აპრილის №430343 გადაწყვეტილებაში, კერძოდ:

1.1 გადაწყვეტილების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით - შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA - ისთვის „ლოგისტიკის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები.
1.2 გადაწყვეტილების პირველი პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით **(დანართი 1).**

2. გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი 2024 წლის 7 ივნისი.

3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 21 ივნისის N719933 ოქმის პირველი საკითხი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

4. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მერაბ ალექსიძის ქუჩა, მეორე შესახვევი №2 ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე, თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ჯაფარიძე შორენა

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს სხდომის მდივანი
ბოლქვაძე ტიტე

დანართი 1

პროგრამის სახელწოდება	ლოგისტიკა
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ტვირთების ექსპედირებაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0413
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. თბილისი, რუსთავის გზატკეცილი 18/22
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	180
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	180
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	168
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	123
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	198
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	153